

**ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151****პროფესიული სტანდარტი****I. სფეროს აღწერა**

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) წარმოადგენს ინფორმატიკის დარგობრივი სფეროს პროფესიულ კვალიფიკაციას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციის მოპოვებისა და კომუნიკაციისათვის ინტერნეტ ტექნოლოგიებს იყენებს. ამიტომაც ინტერნეტ სივრცე ნებისმიერი სფეროს საქმიანობასა და მომსახურებაზე ინფორმაციის გავრცელების ყველაზე გამოყენებად და მოხერხებულ გარემოდ იქცა. დღეისათვის გლობალურ ქსელში საკუთარი პროფესიონალურად გაფორმებული და ტექნიკურად გამართული ვირტუალური წარმომადგენლობის ქონა გახდა სტაბილურობისა და საქმისადმი კომპეტენტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი.

ინტერნეტტექნოლოგი არის ვებსპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ვებ საიტის შექმნას, რედაქტირებას, ინტერნეტ სივრცეში განთავსებას და ტექნიკურ-ინფორმაციულ მხარდაჭერას.

**II. დასაქმების სფერო**

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება იმუშაოს სამთავრობო დაწესებულებებში და კერძო

კომპანიებში რომელთაც სჭირდებათ უკვე არსებული ვებ საიტის ტექნიკური თუ ინფორმაციული მხარდაჭერა, ასევე საიტისათვის ახალი ვებ გვერდების ესკიზების შემუშავება და მარკირება.

IV, V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეძლებს მუშაობას: ვებსპეციალისტის თანამდებობაზე, ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც ესაჭიროებათ საიტის დინამიური განახლება/მართვა და მარტივი პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა. ვებ სტუდიებში კი ვებპროგრამისტის ასისტენტად.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

#### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა პროფესიული დიპლომი.

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. კურსდამთავრებულს ენიჭება ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. კურსდამთავრებულს ენიჭება ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კომპიუტერის მოხმარება და ფაილების მართვა; საოფისე სისტემებში (Microsoft Word, Excel, PowerPoint) მუშაობა; ინტერნეტ სერვისების გამოყენება.</li> <li>- ვებ-საიტების პროექტირების ეტაპები, ვებ-გვერდების ლოგიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება (მარტივი და კომფორტული ნავიგაცია, სწორი იერარქია);</li> <li>- რასტრული და ვექტორული გრაფიკული რედაქტორების მუშაობის პრინციპები: ობიექტების შექმნა და დამუშავება, ტექსტთან მუშაობა და მისი სტილიზაციის მეთოდები;</li> <li>- ვებ სტანდარტების შეზღუდვების გათვალისწინება (რათა არ შეიქმნას დიზაინი, რომლის რეალიზება პროგრამირების სტანდარტული საშუალებებით შეუძლებელი იქნება);</li> <li>- ვებ გვერდების მარკირება (xhtml): ტექსტის, გრაფიკული ობიექტების, ცხრილების, ფორმების, ჰიპერბმულების გამოყენება/რედაქტირება;</li> <li>- ვებ გვერდების სტილებით CSS (Cascading Style Sheets) გაფორმება;</li> <li>- ვებ გვერდის შემცველობის ნაწილის თანამედროვე ლოგიკური სტრუქტურითა და სათანადო ატრიბუტების გამოყენებით ფორმატირება (რაც საძიებო სისტემებისთვის მეტ ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს და ადვილად მოძებნადი ხდება ვებ-გვერდი);</li> <li>- ვებ გვერდების განლაგების მართვა CSS (Cascading Style Sheets) მეშვეობით. სათანადო მეთოდის გამოყენება, რომელიც შემდგომში ვებ გვერდზე განსახორციელებელი სტილური გაფორმების ცვლილებებისათვის მარტივად უზრუნველყოფს ყველა დოკუმენტში შესატან ცვლილებებს;</li> <li>- W3C ვალიდაცია (სტანდარტების შესატყვისობაზე ტესტირება);</li> <li>- მარტივი მულტიმედიური ობიექტების შექმნა და ვებ გვერდზე იმპორტირება;</li> </ul>
-------------------------------------	---	---

		<ul style="list-style-type: none"> <li>- JavaScript (პროგრამული ბიბლიოთეკების) ფუნქციების გამოყენება;</li> <li>- PHP სერვერის მხარის პროგრამირების ენა ძირითადი ფუნქციონალური ნაწილით;</li> <li>- MySql მონაცემთა ბაზის ლოგიკური დაგეგმარება და PHP პროგრამული ენის მეშვეობით საიტის ინფორმაციული ნაწილის გამართვა;</li> <li>- ვებ საიტის სერვერზე განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები („ჰოსტინგ“-ის მომსახურება).</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების ესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <p>ვებ-რესურსების სტრუქტურის პროექტირება, დიზაინის იდეის და კონცეფციის ჩამოყალიბება; პროექტის დაგეგმარება და მის ეტაპობრივ განხორციელება; დიზაინისთვის საჭირო დეტალების: ლოგო, კოლაჟი, ილუსტრაციები, ტექსტური ფენების შექმნა; ვებ გვერდის ესკიზების შექმნა და უკვე არსებული მაკეტების (შაბლონების) გადაკეთება გრაფიკული რედაქტორების გამოყენებით; ვებ გვერდის მარკირება (xhtml) და სტილების გამოყენებით (css) მისი სრულყოფა.</p> <p>ვებ სტანდარტებით გათვალისწინებული, დინამიური, საშუალო დონის ვებ გვერდების შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; საიტის მარტივი მართვის სისტემის დამოუკიდებლად შექმნა, ხშირად გამოყენებადი ფუნქციონალური ნაწილის გათვალისწინებით (საიტზე არსებული - ზოგადი ინფორმაციის, სიახლეების, გალერეის, ტექსტუ-რი/ფოტო მასალის, ასევე მიმაგრებული ფაილების მართვა: ჩასმა, განახლება, წაშლა); სხვადასხვა გამარტივებული მენიუს, გრაფიკული მასალის „სლაიდ ანიმაცია“, ვიდეო მასალის ჩვენება და სხვა საშუალო სირთულის JavaScript ტექნოლოგიების გამოყენება; მულტიმედიური ინფორმაციის (აუდიო, ვიდეო, "ფლემ" ანიმაცია) გამოყენება ვებ გვერდების შექმნის პროცესში; პროექტის დაგეგმარება და მის ეტაპობრივ განხორციელება; შექმნილი ვებ საიტის ლოკალურად ტესტირება და შერჩეულ სერვერზე განთავსება.</p>

<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია ვებ საიტის სტრუქტურისა და შესასრულებელი სამუშაოს გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და დაკვეთის კვალიფიცირებულად შესრულება. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი დამკვეთთან, მისგან ინფორმაციის მიღება, კონკრეტულ შემთხვევებში მისთვის რჩევის სახით საჭირო ინფორმაციის მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია დამკვეთის მოთხოვნის აღწერა და წერილობით გადმოცემა. შესრულებული დაკვეთის პირველადი განხილვის მიზნით, პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი ნამუშევრის წარდგენა კლიენტის, კოლეგებისა თუ ხელმძღვანელობისათვის. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ტექნიკური აღწერილობის გაცნობა და კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. აქვს ჯგუფში მუშაობის, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა. ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- JavaScript ფუნქციების შექმნა და jQuery პროგრამული ბიბლიოთეკების ტექნოლოგიების გამოყენება.</li> <li>- PHP სერვერის მხარის პროგრამირების ენა ფუნქციონალური ნაწილით;</li> <li>- MySQL მონაცემთა ბაზის ლოგიკური დაგეგმარება და PHP პროგრამული ენის მეშვეობით საიტის ინფორმაციული გამართვა;</li> <li>- Ajax და XML ტექნოლოგიის გამოყენების ზოგადი პრინციპები;</li> <li>- ექნება ცოდნა გამოიყენოს პოპულარული CMS და Joomla –cms (საიტის შემცველობის მართვის სისტემა) და კლიენტის მოთხოვნისამებრ შეიმუშაოს და მოარგოს მას სასურველი დიზაინის მაკეტი;</li> <li>- Ms project Professional გამოყენება პროექტების დადგენვა და მართვა</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია:</p> <p>სხვადასხვა დამატებითი ეფექტების შექმნა საიტზე JavaScript და jQuery ტექნოლოგიების დახმარებით ( სლაიდ შოუ, სხვადასხვა სახის მთვლელის ან კალკულაციის გაკეთება); დინამიურად განახლებადი ვებ გვერდის შექმნა, გვერდის URL-ის შეცვლის გარეშე; სხვადასხვა სახის ინფორმაციის წამოღება საიტებიდან (ამინდის პროგნოზი, ვალუტის კურსი, სიახლეები); საიტზე სიახლეების ბლოგის (RSS) შექმნა.</p>
<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია შესასრულებელი სამუშაოს შეფასება და გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება. ვებ სტრუქტურის დაგეგმვა კლიენტთან ან დიზაინერთან ერთად და დინამიური საიტის დამოუკიდებლად შექმნა.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით.</p>

<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია ცალკეულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ინტერნეტ სერვისებსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე, დამოუკიდებლად ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება, ვებ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება უცხოურ ენაზე.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია ვებ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი. ინტერნეტ ტექნოლოგიების მუდმივი განახლების ფონზე გააჩნია ახალი ტექნოლოგიებისა და სისტემების შესწავლის უნარი.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედებს ინტერნეტ (ვებ) საქმიანობისათვის დაკავშირებული ეთიკური და საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული გარემოს დაცვის საკითხებს, გააჩნია საკუთარი შრომის ორგანიზებისა და პასუხისმგებლობის უნარი.</p>

მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის:                  ობიექტზე ორიენტირებული PHP პროგრამირების ენა ფუნქციონალური ნაწილით;                  SQLite მონაცემთა ბაზის ლოგიკური დაგეგმარება;                  Ajax და XML ტექნოლოგიის გამოყენების პრინციპები;                  jQuery პროგრამული ბიბლიოთეკების გამოყენება.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად</p>	<p>შეუძლია:                  ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ნებისმიერი სურთულის დინამიური საიტის (მართვის სისტემის) შექმნა. გარდა ვებ საიტისა, ობიექტზე ორიენტირებული PHP პროგრამირების ენის საშუალებით შეძლებს სხვადასხვა ტიპის მართვის სიტემების აწყობას და გამართვას.</p>
<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების მუშაობის პროცესში შესაძლო პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია მოკვლევითი მასალების საფუძველზე სათანადო ინფორმაციისა და იდეების გადაცემა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. ინტერნეტ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა უცხოურ ენაზე.</p>



<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>არსებული ინტერნეტ ტექნოლოგიების მოძველებისა და ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრების ფონზე შეუძლია ვებ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ანალიზი და დამოუკიდებლად შესწავლა–გამოყენება.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას, აფასებს დამკვეთისა და ვებ სერვისების მომხმარებელთა უფლებამოვალეობებს და კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედებს ინტერნეტ (ვებ) საქმიანობისათან დაკავშირებული ეთიკური და საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.</p>